



KA020113940410122



## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№ 1-1/255

15 / ივნისი / 2022 წ.

**„2020-2022 წლების ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის N1-1/601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის შესაბამისად,

### ვბრძანებ:

1. „2020-2022 წლების ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის N1-1/601 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300300000.22.024.016614) შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მუხლი 1<sup>2</sup>-ით დამტკიცებული „2022 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსი 2022 წლის 1 იანვარიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“ ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდამსმულია  
ელექტრონულად 

ლევან დავითაშვილი